

გრასის დეზინფორმაციის ბრიფი: წინასაარჩევნო გამოშვება

- ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულ ნარატივებს ინტერვიუში აჯამებს;
- საინფორმაციო ველი სავსეა „მეორე ფრონტის“, „გლობალური ომის პარტიისა“ და სახელმწიფო გადატრიალების შესახებ შეთქმულების თეორიებით;
- „ქართული ოცნება“ აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებს აკრიტიკებს წინასაარჩევნო პროცესებში ჩარევის ბრალდებით;
- „ქართული ოცნების“ გამომხაურება ევროპარლამენტის კრიტიკულ რეზოლუციასთან დაკავშირებით;
- პრორუსული ჯგუფები კვლავ იმეორებენ ნარატივებს რევოლუციისა და „მეორე ფრონტის“ შესახებ;
- არჩევნებამდე 36 საათით ადრე, ანტიოპოზიციური ანონიმური TikTok ანგარიშები ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომ ოპოზიციის ამომრჩევლები იდენტიფიცირდებიან და გასამართლდებიან.

ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტულ ნარატივებს ინტერვიუში აჯამებს

ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე 5 დღით ადრე, ბიძინა ივანიშვილი სამთავრობო ტელეკომპანია „იმედს“ ესტუმრა და კიდევ ერთხელ გაიმეორა ნარატივები, რომლებსაც მმართველი პარტია ბოლო თვეების განმავლობაში [ავრცელებდა](#).

- ივანიშვილმა წინასაარჩევნო გარემოზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად ზოგადი სიმშვიდისა, წლევანდელი არჩევნები უპრეცედენტო უცხოური ჩარევის ფონზე იმართება, რასაც ადასტურებს „უსამართლო განცხადებები კონკრეტული ბიუროკრატებისგან, რომლებიც კოორდინაციაში და კორელაციაში არიან ოპოზიციურ პარტიებთან და იმართებიან გლობალური ომის პარტიის მიერ.“ ივანიშვილის შეფასებით, იმდენად მაღალია საგარეო ჩარევა, რომ არჩევნები პრაქტიკულად უცხოეთიდან იმართება, რადგან **გლობალური ომის პარტიას საქართველოს ხელისუფლებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნება სურს, რათა ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრიოს.**
- ივანიშვილის განცხადებით, **2008 წელს საქართველოში და 2022 წელს უკრაინაში რუსეთი** უკრაინა NATO-ში არ მიიღეს, რადგან ამ უკანასკნელს არ სურს, უშუალოდ იყოს ჩართული რუსეთთან კონფლიქტში. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციამ საქართველო და უკრაინა მოსკოვის წინააღმდეგ გეოპოლიტიკურ იარაღად გამოიყენა. არა კონკრეტულმა წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ არ მიეღოთ საქართველო და უკრაინა, არამედ ორგანიზაციის „კოორდინატორებმა“ - მათ, ვინც NATO-ს რეალურად აკონტროლებენ. ამასთანავე, სწორედ აღნიშნულმა „კოორდინატორებმა“ გამოიყენეს სააკაშვილი და უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ. **ახლაც არსებობს მსგავსი გეგმა, რომ ომში საქართველოც ჩაერთოს.**
- „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ისაუბრა ქართველი მაღალჩინოსნებისთვის დაწესებულ სანქციებსა და მის შესაძლო სანქცირებაზეც და განაცხადა, რომ **Credit Suisse-**

თან მისი დავა დასავლეთის დე ფაქტო სანქციებად უნდა აღიქმებოდეს, რადგან აღნიშნული ვითარება უკრაინაში ომის დაწყებიდან მალევე შეიქმნა. ივანიშვილი ახალ სანქციებს არ მოეღოს და მიაჩნია, რომ შანტაჟისა და ზეწოლის ეს წყაროები ამოიწურა, შესაბამისად უკვე კონტრპროდუქტიულია. მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-თან ურთიერთობები მმართველი პარტიისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, თუმცა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გაუარესდა. ივანიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ომი მალე დასრულდება და საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა „დალაგდება.“

- ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა მმართველი პარტიის გეგმაზე ოპოზიციური პარტიების აკრძალვასთან დაკავშირებით. ის ირწმუნებოდა, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს ომში ჩართვისკენ უბიძგებდნენ, მაგალითად, უცხოელი მაღალი თანამდებობის პირი ერთ-ერთ ქართველ პოლიტიკოსს ეუბნებოდა: „**სამი მილიონი ხართ, გახვიდეთ და ჩვენ მოგაწვდით, დაგეხმარებით, რომ იქიდან იომოთ.**“ მან ოპოზიციაც დაადანაშაულა: „**ენმ-მ 2008 წლის ომი „უცხოური გავლენის“ გამო დაიწყო**, თუმცა წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებები „ქართულმა ოცნებამ“ ადრე არ გამოიძია, რათა თავიდან აერიდებინა საქართველოს საერთაშორისო ველზე დაზიანება. თუმცა ახლა, როდესაც საერთაშორისო სასამართლომ [იგულისხმება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო] საქართველოს სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო, ივანიშვილს მიაჩნია, რომ დროა, საზოგადოებამაც გაიგოს „ენმ-ის“ დანაშაულის შესახებ. აგრეთვე, ის ირწმუნებოდა, რომ მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, **დასავლელი პოლიტიკოსები პარტიაზე ზეწოლას ახდენდნენ, რომ „ენმ-ის“ წევრები არ გაესამართლებინათ.** დაბოლოს, ივანიშვილმა განაცხადა, რომ თუ ქვეყანა „ხალხის მტრებს“ არ მოიშორებს, **ყოველთვის იქნება უცხოეთის მიერ მხარდაჭერილი რევოლუციური მცდელობები.** მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის შეფასებით, პატრიოტული ფასეულობების მქონე ადამიანები მარტივად პოულობენ ადგილს „ქართულ ოცნებაში,“ ხოლო ყველა დანარჩენი „ხალხის მტრად“ უნდა მიიჩნეოდეს.
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გეგმაზე საუბრისას, ივანიშვილს არ დაუკონკრეტებია, როგორ აპირებს ამას. თუმცა მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ 2008 წლის ომი „ენმ-მ“ საგარეო დავალებით დაიწყო. ქართულ ოპოზიციას არც ახლა სურს საქართველოს შერიგება აფხაზ და ოს ხალხთან, რადგან მათ **უცხოური მითითება აქვთ, ქვეყანა დაყოფილი და დასუსტებული ამყოფონ**, რაც მის გარედან დაპყრობას ამარტივებს.
- მილიარდერმა პოლიტიკოსმა ისაუბრა „ღებტ პროპაგანდის“ საფრთხეებზეც და აღნიშნა, რომ „არავინ არავის [ღებტე+ თემი] სახლში არ მისდევს, მაგრამ ფსევდოლიბერალური ფაშიზმი ქვეყნების დაპყრობის ახალი საშუალებაა.“ მან „ღებტ პროპაგანდის“ რამდენიმე მაგალითი ჩამოთვალა: ბარსელონაში ჩატარებულ გვი პარადზე ბავშვებიც მონაწილეობდნენ მაშინ, როდესაც „ყველანაირი ტიპის ორგანო მიდიოდა ქუჩებში“; ბალებში სექსუალური აღზრდის გაკვეთილები ტარდება და ბავშვებს ასწავლიან, რომ გენდერის არჩევა შეუძლიათ; ერთ-ერთი ქვეყნის მეცნიერები ამბობენ, რომ „მამაკაცის ტრანსგენდერი ქალებისთვის ჰიგიენური საფენებია მოთავსებული და სხვ.
- რუსული სტილის „უცხოეთის აგენტების კანონზე“ საუბრისას, ივანიშვილმა განაცხადა, რომ დასავლელი მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც კანონპროექტს აკრიტიკებენ,

საქართველოს არ აღიქვამენ სახელმწიფოდ, რომელსაც აქვს უფლება იცოდეს, რა ტიპის ფინანსები შემოედინება ქვეყანაში. მან გაიმეორა პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის [ტყუილიც](#), რომ ევროკავშირმა გააჩერა იდენტური კანონის მიღების პროცესი, რადგან თუ ამ კანონს მიიღებდა, ადარ ექნებოდა მორალური უფლება, საქართველოსთვის არსებული კანონის გახმოება მოეთხოვა.

საინფორმაციო ველი სავსეა „მეორე ფრონტის“, „გლობალური ომის პარტიისა“ და სახელმწიფო გადატრიალების შესახებ შეთქმულების თეორიებით

ბოლო თვეების განმავლობაში სისტემატურად ვრცელდება ნარატივი, რომლის თანახმადაც, „გლობალურ ომის პარტიას“, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს აშშ-სა და ევროკავშირზე, სურს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოაწყოს და რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტი“ გახსნას. ნარატივი გაავრცელა და გააძლიერა ფაქტობრივად ყველა სამთავრობო წყარომ - როგორც ბიძინა ივანიშვილმა, ისე - ანონიმურმა ანგარიშებმა სოციალურ მედიაში, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში.

- „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის მე-12 წლისთავზე, ბიძინა ივანიშვილმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც [წერდა](#), რომ 2012 წლის 1-ელი ოქტომბრიდან, საქართველოს ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს სიარული, რათა მშვიდობა შეინარჩუნოს და ჩაახშოს **რევოლუციების მოწყობის, ქვეყნის არევისა და რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევის მცდელობები**, გარე თუ შიდა მტრების მხრიდან. „არ დავუშვათ, რომ ჩვენი ქალაქების, სოფლების და ჩვენი შვილების თავზე ცეცხლის წვიმა მოდიოდეს!“ - წერია განცხადებაში.
- იმავე წერილში, ივანიშვილი [ირწმუნებოდა](#), რომ „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლების დაბრუნებას ნებისმიერი გზით ცდილობს, მათ შორის **ქვეყანაში „მეორე ფრონტის“ გახსნით**. უცხოელი პატრონების დახმარებით, ისინი მზად არიან ქვეყანა ომში ჩაითრიოს და კიდევ ერთხელ გაიმეორონ 2008 წლის ღალატი.
- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, [ევროკომისიამ](#) დასკვნის გამოქვეყნება გადადო, რადგან „**გლობალური ომის პარტიას**“ არ აქვს საქართველოში ოპოზიციის გამარჯვების იმედი, შესაბამისად პოსტსაარჩევნო პერიოდისთვის ემზადება. **„ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, რომ ასეთ პროცესებზე გავლენას გლობალური ომის პარტია ახდენს,“** - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.
- ირაკლი კობახიძემ საქართველოს ხელისუფლებისადმი [ევროპარლამენტის](#) კრიტიკული რეზოლუცია **„გლობალური ომის პარტიას“** მიაწერა.
- [ბაიდენის ადმინისტრაციაში](#) მიწვევის გაუქმების შესახებ საუბრისას, კობახიძემ განაცხადა, რომ უკრაინაში ომის დამთავრების შემდეგ, ინტერესები საქართველოს მიმართ შეიცვლება, რაც აშშ-სა და **„გლობალური ომის პარტიასთან“** ურთიერთობების დალაგების შესაძლებლობას გააჩენს. „ჩვენ უნდა დავლაგდეთ ყველასთან, მათ შორის „გლობალური ომის პარტიასთანაც“ მას შემდეგ, რაც შეიცვლება ინტერესები,“ - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.
- [ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის \(PACE\)](#) წევრების მიერ გავრცელებული განცხადების საპასუხოდ, კობახიძემ განაცხადა, რომ **„გლობალური ომის პარტია PACE-ის წევრებზე ძალიან მარტივად ზემოქმედებს.“** ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის

დეკლარაციაში საუბარია საგანგაშო მოვლენებზე, თუ როგორ ემზადება მმართველი პარტია მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოპარვისთვის.

- „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის, თბილისის მერის, კახა კალაძის [მტკიცებით](#), მმართველი პარტია არ აკრიტიკებს დასავლეთს, ის **ქვეყანას იცავს იმ ბოროტი ადამიანებისგან, რომლებიც „მეორე ფრონტის“ გახსნისკენ მოუწოდებდნენ ხელისუფლებას**. „ის ნაბიჯები რომ გადაგვედგა, აქ კი არ ვიდგებოდით ბალის გახსნაზე, ვიქნებოდით სარდაფებში და ქვეყანა თავზე დაგვემხობოდა,“ - უპასუხა კალაძემ ჟურნალისტებს. მორიგ განცხადებაში, თბილისის მერი [ირწმუნებოდა](#), რომ ხელისუფლებას პირდაპირ ამანტაჟებდნენ, რომ საქართველოში „მეორე ფრონტი“ გახსნილიყო და ქვეყანა სანქციებს მიერთებოდა.
- „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის ბათუმში გამართულ ღონისძიებაზე, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ საზოგადოებას მიმართა და [განაცხადა](#), რომ „**აგენტების კოალიციამ“ ყველაფერი სცადა, რათა საქართველოში „მეორე ფრონტი“ გაეხსნა**. ქვეყნის გარე მტრებს სურთ, ისევ უცხო ინტერესების მორჩილი „აგენტურა“ მოიყვანონ ხელისუფლებაში, რათა საქართველო ომში ჩაითრიონ.
- „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და პარტიის „საქართველოსთვის“ ლიდერ გიორგი გახარიასა და „ლელოს“ ლიდერ მამუკა ხაზარაძესთან დაკავშირებით ბრიფინგზე ისაუბრა. მდინარაძის მტკიცებით, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები უცხოეთის აგენტები და „ენმ-ის“ დანაშაულის თანამონაწილენი არიან. კონკრეტულად გახარიაზე საუბრისას კი მდინარაძემ [განმარტა](#), რომ „ქართული ოცნების“ მიერ მისი პრემიერ-მინისტრად დაწინაურების მიზეზი შეიძლება **„გახარიას პატრონებთან გადახდილ ერთგვარ ხარკად“** მიიჩნეოდეს.
- კითხვას, თუ ვინ არიან გახარიას „პატრონები“ მმართველი პარტიის წევრმა, ირაკლი კირცხალიამ, უპასუხა და [განმარტა](#), რომ „გახარიას პატრონები არიან ისინი, ვინც არიან „კოლექტიური ნაცემოდრობის“ პატრონები: **ევროპარლამენტარები, კონგრესმენები და სენატორები.**“
- ირაკლი რუხაძე, სამთავრობო ტელეკომპანია „იმედის“ მფლობელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის პოდკასტს ესტუმრა, რომლის წამყვანებიც „პირველი არხის“ ახალი ამბების ბლოკის დირექტორი გიორგი გვიმრაძე და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე არიან. პოდკასტზე მათ [ისაუბრეს](#) საქართველოს პოლიტიკაში აშშ-ის ჩარევის შესახებ, რადგან ეს უკანასკნელი ჰეგემონია წესების გარეშე. მათი შეფასებით, **ოპოზიციის გამარჯვების ერთადერთი მანსი დასავლეთის მიერ მათი ხელისუფლებაში დასმაა, რაც მხოლოდ აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერილი რევოლუციითაა შესაძლებელი**.
- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა იმავე პოდკასტში მიიწვია ყოფილი დეპუტატი ჯონდი ბალათურიაც, რომელიც პრორუსულ პლატფორმებზე ანტიდასავლური რიტორიკის გავრცელებითაა ცნობილი. ბალათურია [ირწმუნებოდა](#), რომ „**გლობალური ომის პარტია“ საქართველოს ხელისუფლებაზე გაბრაზებულია, რადგან ის „მეორე ფრონტის“ გახსნის დავალებას არ ასრულებს**. მისი შეფასებით, საქართველოს დაუმორჩილებლობა სხვა ქვეყნებისთვის სამაგალითოა, რაც კიდევ უფრო მიუღებელია „გლობალური ომის პარტიისთვის.“ შედეგად, დღეს საქართველოს რევოლუციის საშიშროებასთან გამკლავება უწევს, რაც საბოლოოდ „მეორე ფრონტის“ გახსნით დასრულდება. ბალათურიას მტკიცებით, „გლობალური ომის პარტიის“ სამიზნე აზერბაიჯანისა ირანის წინააღმდეგ ომში გამოსაყენებლად.

- პოდეკასტზე მიწვეული იყო ცნობილი ბლოგერი, ლუკა ეხვაიაც, რომლის [მტკიცებითაც](#), ქართველი მადალჩინოსნების სანქცირება და ოპოზიციური პარტიების დაშლა-გაერთიანება დასავლეთის დიდი ხნის წინ დალაგებული გეგმის ნაწილია, რომელიც უკვე დაიტესტა სერბეთში, უკრაინასა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. თუ ეს მიდგომა წარუმატებელი აღმოჩნდება, დასავლეთი „მაიდანის რევოლუციის“ მსგავს სცენარს აამოქმედებს. ეხვაია ირწმუნებოდა, რომ დასავლეთმა რევოლუციის სამი ტალღა უკვე მოაწყო: არაძალადობრივი რევოლუციები აღმოსავლეთ ევროპაში, არაბული გაზაფხული და უკრაინაში 2014 წელს გამოყენებული „ჰიბრიდული რევოლუციის“ მოდელი, რომელიც ქუჩის პროტესტში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას გულისხმობს, რაც შემდეგ ძალადობაში გადაიზრდება. ნარატივის თანახმად, სახელმწიფო გადატრიალების აღნიშნული ახალი ფორმა დასავლეთსა და რუსეთს შორის ბუფერულ სახელმწიფოებში გამოიყენება, რათა რუსეთი დასუსტდეს, **თუმცა საბოლოოდ ამ ქვეყნებს დასავლური ინტერესების საზარბაზნე ხორცად იყენებენ**. იგივე ბედი მოელის საქართველოსაც, თუ დასავლეთის მხარდაჭერილი რევოლუცია მოხდება.
- პროპაგანდისტმა ისაუბრა სამთავრობო „მაესტროშიც,“ სადაც კვლავ გაიმეორა [მტკიცება](#), რომ **მშვიდობიან ქვეყნებში დასავლეთი აჯანყებებს აწყობს, რათა ამ ქვეყნების ფასად საკუთარი ინტერესები განავითაროს**. ეხვაიას შეფასებით, უკრაინასა და სომხეთში რევოლუციებმა ომი და ტერიტორიების დაკარგვა გამოიწვია, შესაბამისად, საქართველოსაც იგივე საფრთხე ემუქრება, თუ დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი სახელმწიფო გადატრიალება წარმატებული იქნება.
- სამთავრობო არხმა POSTV-მ მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ტრამპი ომის პარტიის წინააღმდეგ“ შემდეგ გამოაქვეყნა ახალი ფილმი [„საქართველო ომის პარტიის წინააღმდეგ.“ ფილმი ეყრდნობა ნარატივს, რომ „გლობალური ომის პარტია“ აშშ და ევროკავშირია](#). არხი ირწმუნება, რომ ოპოზიციამ, „გლობალური ომის პარტიის“ დახმარებით, არჩევნების შედეგების დისკრედიტაცია სცადა, მმართველი პარტია გაყალბებაში დაადანაშაულა და ცდილობდა, რევოლუცია მოეწყო ISFED-ის ხმების პარალელური დათვლის გაყალბებულ დასკვნაზე დაყრდნობით, რაც USAID-მა დააფინანსა, თუმცა საპროტესტო ტალღის განმავლობაში ჩუმად იყო. ამ მცდელობების წარუმატებლობის შემდეგ, ფილმის თანახმად, დასავლეთმა საქართველოს უსამართლო კრიტიკა დაიწყო და ახლა „ქართულ ოცნებას“ არადემოკრატიულ ქმედებებში ადანაშაულებს, რათა პარტიის ლეგიტიმურობას ძირი გამოეთხაროს. ნარატორი ამბობს, რომ, ამ კონტექსტში, ანტიდემოკრატიული ნიშნავს ხელისუფლების სუვერენულ კურსს, რომელიც არა დასავლეთის მითითებებსა და თეთრი სახლის დავალებებს, არამედ ეროვნულ ინტერესებს მოიცავს. დასავლელმა მაღალი თანამდებობის პირებმა შესაძლოა არჩევნებში ჩარევა სცადონ ან გამონახონ სხვა საშუალება საქართველოს ხელისუფლების შესაცვლელად.
- სამთავრობო ონლაინ წყარომ „Spnews-მა“ აგრეთვე [გაავრცელა](#) ფილმი სახელწოდებით „რა მოხდება საქართველოში 2024 წელს 26 ოქტომბრის შემდეგ?!“, რომელშიც წარმოდგენილია სცენარი, თუ რა მოხდება „ქართული ოცნების“ გამარჯვების, მაგრამ ოპოზიციის, ქართული არასამთავრობოების, საერთაშორისო დამკვირვებლების, აშშ-ის საელჩოსა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ შედეგების გაყალბებულად გამოცხადების შემთხვევაში, რაც ახალ საპროტესტო ტალღას გააჩენს. ფილმის თანახმად, ოპოზიციის მოწინააღმდეგეების ხმას სოციალურ მედიაში ფაქტების გადამმოწმებლები ჩაახშობენ. ფილმში ნაჩვენებია უკრაინაში მებრძოლი ქართველი ჯარისკაცების

ვიდეოებიც, რომლებშიც „ქართულ ოცნებასა“ და მის მხარდამჭერებს ფიზიკურად ემუქრებიან. პროტესტი ძალადობრივ დაპირისპირებაში გადაიზრდება, რასაც განსაკუთრებით გააძლიერებს დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებები საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებით. დაპირისპირების შედეგად გამოწვეული ადამიანური დანაკარგი სრულმასშტაბიანი რევოლუციით დასრულდება. ამავდროულად, უკრაინის პრეზიდენტი საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნისკენ მოწოდებებს გააუღერებს. ფილმის ავტორი ირწმუნება, რომ აღნიშნული მოვლენები გარდაუვალია.

- პროსახელისუფლებო ექსპერტი ედიშერ გვენეტაძე ანტიდასავლურ ვებგვერდზე „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ სტატიაში [წერს](#), რომ „გლობალური ომის პარტია“, ანუ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლები, ნათლად ხედავენ, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით საქართველოს ხელისუფლებაში აგენტებს ვერ მოიყვანენ. აქედან გამომდინარე, ისინი ღიად ამზადებენ საქართველოში მესამე სახელმწიფო გადატრიალებას.
- რამაზ საყვარელიძის, მორიგი ექსპერტის, [შეფასებით](#), დასავლეთი საქართველოს ომში ჩართვისკენ უბიძგებდა, თუმცა „ქართული ოცნების“ დაუმორჩილებლობიდან გამომდინარე, დასავლეთმა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციისა და მედიის მზადება დაიწყო მომდევნო „ვარდების რევოლუციისთვის.“
- პრორუსულად განწყობილი, სამთავრობო პროპაგანდისტი ლალი მოროშკინა, Facebook-სა და TikTok-ზე ფართოდ გავრცელებულ ინტერვიუში, [ირწმუნებოდა](#), რომ „გლობალური ომის პარტია“ კორპორაციების ერთიანობაა, რომელმაც 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მოაწყო, რომელმაც შემდეგ 2008 წლის ომიც გამოიწვია. იმავე კორპორაციებმა გაავრცელეს COVID-19-ც, მსოფლიოზე კონტროლის მოპოვების მიზნით, „ქართველების ჯანმრთელობით ითამაშეს და ექსპერიმენტები ჩაატარეს,“ რასაც ადასტურებს სიმსივნის დიაგნოზის გაზრდილი მაჩვენებლებიც. მოროშკინა, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ რევოლუცია და მის შედეგად გამოწვეული ომი უკრაინაში „გლობალური ომის პარტიის“ მომზადებულია, რომელიც შეპყრობილია საქართველოშიც იმავე სცენარის გამეორებით. ამ ფონზე, ბიძინა ივანიშვილი მშვიდობის გარანტია და გლობალურ ძალებს აჩერებს.
- პრორუსულ „GeWorld-ზე“ გამოქვეყნებულ სტატიაში, პრორუსი პროპაგანდისტის, ვალერი კვარაცხელიას [მტკიცებით](#), თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, დასავლეთი თავისი „აგენტურის“ ხელისუფლებაში მოსაყვანად სახელმწიფო გადატრიალებას დაიწყებს. ახალი ხელისუფლება რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს დააწესებს და გახსნის „მეორე ფრონტს,“ რაც ქვეყნის განადგურებას გამოიწვევს.

„ქართული ოცნება“ აშშ-ისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებს აკრიტიკებს წინასაარჩევნო პროცესებში ჩარევის ბრალდებით

ოქტომბრის დასაწყისში, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ოფიციალურმა Facebook გვერდმა რამდენიმე ქარდი გამოაქვეყნა ([1](#), [2](#), [3](#), [4](#), [5](#)).

ბიძინა ივანიშვილმა იცის,
რომ კრადიტ სუისთან დაკავშირებული ფული
ბერძუნისა და სინგაპურის სასაზღვრო ტოლების
ხელშეი და არა - ამერიკის



რატომ უყვება ის ქართველებს სხვა ამბავს?

დემოკრატია

მოზიციას არ კრძალავს



იზოლაციაში ქვეყნები ვერ
ვითარდება.

საქართველოს დასავლეთისგან
იზოლაცია
მისი ხალხის ინტერესებს
ენინააღმდეგება.

- ბიძინა ივანიშვილი ქარდებს [განცხადებით](#) გამოეხმურა და აღნიშნა, რომ **აშშ ან ევროკავშირი ფინანსურ შანტაჟში არც მას და არც „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერს**

დაუდანაშაულებია. ამასთანავე, ივანიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ **აშშ-ში ოლიგარქიული გავლენების, არაფორმალური მმართველობის, „დიზ სტიტისა“ და „ომის პარტიის“ თემა** არა „ქართული ოცნებამ“, არამედ საპრეზიდენტო კამპანიაში თავად დონალდ ტრამპმა და რობერტ კენედი უმცროსმა წამოწიეს. „გლობალური ომის პარტია“ ცდილობს აშშ-ისა და ევროკავშირის გამოყენებას, როდესაც საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს და ცდილობს, მოვლენები ისე წარმოაჩინოს, თითქოს, საქართველოს დაპირისპირება არა მასთან, არამედ აშშ-თან და ევროკავშირთან აქვს.

- პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე კვლავ [ირწმუნებოდა](#), რომ **არსებობს „გლობალური ომის პარტია,“ რომელიც ასეთ პროცესებზე ზემოქმედებს.** მათ შორის, პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებზე გავლენა აქვს აშშ-ისა და ევროკავშირის კონტექსტშიც.

გამოხმაურება ISFED-ის ხმების პარალელური დათვლის შედეგებთან დაკავშირებით.

- „ქართული ოცნების“ კომუნიკაციების დეპარტამენტის Facebook გვერდზე „სინამდვილეში,“ რომლის მიზანი მმართველი პარტიის ოპონენტების დისკრედიტაციაა, გამოქვეყნდა [ქარდი](#), რომლის თანახმადაც, აშშ-ის საელჩო PVT-ის შედეგების ნაკლებ სერიოზულად წარმოჩენას ცდილობდა. ISFED-მა მმართველი პარტია 46,000 ხმის გაყალბებაში დაადანაშაულა, რაც USAID-ისთვისაც იყო ცნობილი. თუმცა არც USAID-ს და არც აშშ-ის საელჩოს გაუკეთებია საჯარო განცხადება მაშინ, როდესაც დემონსტრანტები მმართველ პარტიას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ.
- იმავე ნარატივზე დაყრდნობით [ისაუბრა](#) პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმაც, რომლის მტკიცებითაც, აშშ-ის საელჩომ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. პაპუაშვილის განცხადებით, ISFED-ს 2.4%-იანი ცდომილება ჰქონდა, არა - 1.8%. ამასთანავე, PVT-ის დასკვნა იყო მიზეზი, რატომაც არ აღიარა ოპოზიციამ არჩევნების შედეგები და სცადა, ხელისუფლება შეეცვალა ხალხის ნების წინააღმდეგ.
- გზავნილი [გაიმეორა](#) თბილისის მერმა კახა კალაძემაც: „ვფიქრობ, ამერიკის საელჩოს დიდი პრობლემა აქვს, **მგონი, Facebook-ის ადმინად ლევან საბეიშვილი ჩაუდეს.** ყველა ქარდზე, რაც გამოაქვეყნეს, იყო სიცრუე.“

გამოხმაურება ქარდზე, რომლის თანახმადაც, დემოკრატიები ოპოზიციას არ კრძალავენ.

- ქარდს [გამოუხმაურა](#) Facebook გვერდი „სინამდვილეში,“ რომლის მტკიცებითაც, 1945 და ბოლო ორი წლის განმავლობაში უკრაინამ 19, ხოლო მოლდოვამ 1 ოპოზიციური პარტია აკრძალა.
- კახა კალაძის [განცხადებით](#), გერმანიის მთავრობა აპირებს, რომ გააუქმოს პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (AfD), ასევე მოლდოვამ და უკრაინამ უკვე აკრძალეს რამდენიმე პარტია. თუ აღნიშნული დემოკრატიად მიიჩნევა, საქართველოსაც უნდა შეეძლოს იმ პარტიის აკრძალვა, რომელმაც ქვეყანას უღალატა და გაანადგურა. „რატომაა ამდენი უკმაყოფილო გაღიზიანებული მოქალაქე დასავლეთის მიმართ? იმიტომ, რომ ხედავს ორმაგ სტანდარტს,“ - აღნიშნა კახა კალაძემ.
- მამუკა მდინარაძემ Facebook პოსტში აშშ-ის საელჩოს [მოუწოდა](#), რომ **„დაიბრუნოს საკუთარი Facebook გვერდის მართვის ფუნქცია ნაცმოძრაობისგან.“**
- შალვა პაპუაშვილმა **აშშ ორმაგი სტანდარტების** ქონაში [დაადანაშაულა](#). მისი შეფასებით, უსამართლობაა და შეუსაბამოა ევროპულ სტანდარტებთან, რომ გერმანიას პარტიის

აგრძელდა, ხოლო საფრანგეთს „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება შეეძლოს და ამავდროულად საქართველოს იმავე ქმედებებისთვის აკრიტიკებდნენ.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ირაკლი ზარქუას [განცხადებით](#), აშშ და ევროკავშირი ახლა აცნობიერებენ, რომ „რადიკალები და უსამშობლოები“ ვერ გადალახავენ ბარიერს, ასე რომ, **წინასაარჩევნო კამპანიაში უშუალოდ ჩაერთნენ**. „საქართველო უკრაინასა და მოლდოვაში ხომ არ ერევათ, სადაც თავისუფლება და მედია შეზღუდულია,“ - აღნიშნა ირაკლი ზარქუამ.
მ გამოაქვეყნა ქარდი, რომელშიც [წერია](#) „დემოკრატიები სიკვდილით არ სჯიან,“ და დართულია აშშ-ში სიკვდილით დასჯილი პატიმრების სტატისტიკა.

აშშ-ის საელჩოსთან დაკავშირებით გაკეთებული სხვა განცხადებები.

- პრემიერ-მინისტრმა [განაცხადა](#), რომ საარჩევნო პროცესი უპრეცედენტო გარე ჩარევის ფონზე წარიმართება და აშშ-ის საელჩოს ქარდებიც სწორედ **არჩევნებზე გავლენის მოხდენაა**.
- პარლამენტის თავმჯდომარე ასევე [ირწმუნებოდა](#), რომ საელჩო **საქართველოს შიდა პოლიტიკურ მოვლენებში ჩარევას ცდილობს** და აშშ-ს ქვეყანა ჯორჯიის შტატში ერევა. მან ქარდებს „იუმორის დონეში გადასული, დეზინფორმაცია და ტყუილი“ [უწოდა](#).
- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ აშშ-ის საელჩოს მისამართით [იკითხა](#), **„ოფიციალურ გვერდზე წვდომა დაიბრუნა, თუ ისევ „ნაცებს“ აქვთ.“** ამასთანავე, დეპუტატმა განაცხადა, რომ აშშ-ს თავადვე აქვს უხეში დარღვევები წინასაარჩევნო პროცესებში და თავის ქვეყანას უნდა მიხედოს.
- სამთავრობო პროპაგანდისტმა გოგა ხაინდრავამ გამოაქვეყნა [პოსტი](#), რომელშიც წერია, რომ **„აშშ-ის დიპლომატიურ სამსახურს დირსება აქვს დაკარგული.“**
- სამთავრობო სოციალური მედიის ანგარიშებსა და გვერდებზე გავრცელდა საქართველოში აშშ-ის ელჩის, რობინ დანიგანის, „ენმ-ის“ წინასაარჩევნო ბანერზე დატანილი ფოტოსურათი ([1](#), [2](#), [3](#), [4](#)).



ევროკავშირის ელჩის კრიტიკა.

ოქტომბერს, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, პაველ ჰერჩინსკიმ, მმართველი პარტიის საარჩევნო ბილბორდები, რომლებზეც ომით განადგურებული უკრაინის სურათები კონტრასტულადაა შედარებული საქართველოს მშვიდ სცენებთან, [შეაფასა](#), როგორც „ადამიშფოთებელი, სამარცხვინო და ამაზრზენი.“ „ჩვენ გვაქვს მშვიდობა უკრაინაში, საქართველოსა და ევროკავშირში უკრაინელი ხალხის მსხვერპლის წყალობით და ისინი იმსახურებენ ჩვენს უკიდურეს პატივისცემას“, - განაცხადა პაველ ჰერჩინსკიმ.

- კახა კალაძემ ელჩის კრიტიკას „კატეგორიულად მიუღებელი“ და წინასაარჩევნო პროცესებში ჩარევის მცდელობა [უწოდა](#). თბილისის მერის მტკიცებით, ნორმალურ, განვითარებულ ქვეყანაში, ასეთ ელჩს ქვეყნიდან მაშინვე გააძევებდნენ.
- „ქართული ოცნების“ რეკლამის გაშვებაზე უარი არაერთმა არხმა განაცხადა. მალვა პაპუაშვილის [შეფასებით](#), გადაწყვეტილებაზე გავლენა ევროკავშირის ელჩების განცხადებებმა მოახდინა, რითაც პარლამენტის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ თითქოს ელჩების კრიტიკის გავლენით დაირღვა საქართველოს კანონმდებლობა.

- ირაკლი ზარქუას [თქმით](#), ბატონი ჰერჩინსკის განცხადებები მიუღებელია. „**ბატონო ელჩო, მე მესმის თქვენი შეშფოთება და აღშფოთება, რომ თქვენი აგენტურა ბარიერს ვერ გადალახავს**, მაგრამ ეს წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვის უფლებას არ გაძლევთ,“ - აღნიშნა დეპუტატმა.

„ქართული ოცნების“ გამომწვევება ევროპარლამენტის კრიტიკულ რეზოლუციასთან დაკავშირებით

ოქტომბერს, ევროპარლამენტმა მიიღო [რეზოლუცია](#) „საქართველოში დემოკრატიული უკუსვლისა და პოლიტიკური პლურალიზმის მიმართ არსებული საფრთხეების შესახებ.“ რეზოლუცია შეიცავს მოწოდებებს საქართველოს ხელისუფლებისთვის ევროკავშირის დაფინანსების გაყინვისკენ, სანამ ის არ გააუქმებს ანტიდემოკრატიულ კანონმდებლობას, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებასა და ვიზალიბერალიზაციისთვის კრიტერიუმების გადახედვისკენ. ამასთანავე, რეზოლუცია კიდევ ერთხელ გამოხატავს ევროკავშირის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ხალხისა და მისი ევროპული მისწრაფებების მიმართ.

- შალვა პაპუაშვილის [შეფასებით](#), რეზოლუცია ქართველ ამომრჩევლებზე გავლენის მოხდენის მცდელობაა და „აღმამფოთებელი, სამარცხვინო და ამაზრზენია.“ აღმამფოთებელია რეზოლუციის ის ნაწილი, რომელშიც მოთხოვნილია სანქციების დაწესება ბიძინა ივანიშვილისთვის - ქვეყნის მშვიდობის გარანტიისთვის. სამარცხვინოა მოწოდება სააკაშვილის გათავისუფლებისკენაც სამართლიანი სასჯელისგან. ამაზრზენია რეზოლუციის ის ნაწილი, რომელშიც გამოხატულია მოთხოვნა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს საქართველოც მიუერთდეს, რადგან აღნიშნული ნაბიჯი ქვეყნის ეკონომიკის კოლაფსს გამოიწვევს. პაპუაშვილის მტკიცებით, რეზოლუცია ნათელს ხდის იმ ზეწოლას, რომლის ქვეშაც იმყოფებოდა საქართველოს ხელისუფლება გასული წლების განმავლობაში.
- კახა კალაძე [იწმინებოდა](#), რომ უახლოეს მომავალში პირდაპირ გაჟღერდება, რომ ევროპარლამენტარებს (495-ვე მათგანს) რეზოლუციის მისაღებად ლობისტებმა გადაუხადეს. [აგრეთვე](#), რეზოლუცია დასტურია, რომ „ქართულ ოცნებას“ „ხელის მ
- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილის [განცხადებით](#), რადიკალური, ფლოტრებული ოპოზიციის მხარდამჭერი, მფარველი ლობისტები ამზადებენ ანალოგიური შინაარსის, ანტისახელმწიფოებრივ, ანტიქართულ რეზოლუციას, რაც მორიგი დემონსტრირებაა ქვეყნის შიდა საქმეებში თავხედური ჩარევის.
- წმთავრობო არხებმა გაავრცელეს გარკვეული ევროპარლამენტარების განცხადებები, რომლებშიც „ქართული ოცნების“ ნარატივებია გამეორებული:

ბ
-
ი
თ
„
გ
მ
უ
წ
ო
დ
ე
ბ

[ტიერი მარიანის](#), ჯგუფის „პატრიოტები ევროპისთვის“ წევრის, შეფასებით, რეზოლუცია საქართველოს ამჟამინდელი უმრავლესობის ნების დესტაბილიზაციის იარაღია, რომელიც აგიტატორებსა და უცხოეთის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებს გადაეცათ.

იმავე ჯგუფის უნგრელი წევრის, ევროპარლამენტარ [ანდრას ლასზლოს](#) განცხადებით, ევროპარლამენტის რეზოლუცია ქვეყნისთვის წაყენებული „ულტიმატუმი“.

ის წევრმა ჰანს ნოიპოფმა ევროპარლამენტს [მოუწოდა](#), „პატივი სცენ საერთაშორისო კანონებს, საქართველოს სუვერენიტეტს, საქართველოს უნარს, მიიღოს საკუთარი კანონები.“

- მემარცხენე ჯგუფის წევრმა დანილო დელა ვალემ [განაცხადა](#), რომ ევროპარლამენტმა ორმაგი სტანდარტები აჩვენა და გამოააშკარავა ევროკავშირის პოლიტიკური ფარისევლობა. უკრაინის ომის ფონზე, გარკვეულ ძალებს სურთ, საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები, რომლებიც ნაკარნახევია აშშ-სა და NATO-ს მიერ, თავს მოახვიონ ისეთ ქვეყნებს, როგორც საქართველოა.
- ჩენი ევროპარლამენტარის, ონდრეჟი დოსტალის [შეფასებით](#), ევროკავშირი არ უნდა ერეოდეს საქართველოს საქმეებში და უნდა ესმოდეს, რომ ქართველებმა საკუთარი ინტერესები უკეთ იციან, ვიდრე ევროპელებმა.
- მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ [მტკიცებით](#), **საქართველოს ევროპული ინტეგრაცია მოჩვენებითია** და მხოლოდ დასავლეთის პირობების უსიტყვოდ შესრულებით მიიღწევა - მათ შორის, სააკაშვილის გათავისუფლებით, „ლგბტ პროპაგანდის“ გავრცელებით, რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებთან მიერთებითა და „მეორე ფრონტის“ გახსნით. მოძრაობა ირწმუნება, რომ რეზოლუცია თანხვედრაშია ოპოზიციის წინასაარჩევნო სტრატეგიასთან, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ დავალებებს შეასრულებს და შედეგად ქვეყანას გაანადგურებს.
- სამთავრობო არხის, POSTV-ის ეთერში, „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი, ვატო შაქარიშვილი [ირწმუნებოდა](#), რომ **ევროკავშირი საქართველოს წევრ სახელმწიფოდ არასოდეს მიიღებს**. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი საქართველოს მოუწოდებს, გახსნას „მეორე ფრონტი“, ჩაიდინოს ეკონომიკური თვითმკვლელობა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებთან მიერთებით, სანქციები დაუწესოს უდიდეს ფილანთროპს (ბიძნა ივანიშვილს), გამოუშვას სისხლისმამელი დიქტატორი (საკაშვილი) და გაცვალოს ქრისტიანობა „ლგბტ პროპაგანდაში.“ შაქარიშვილის შეფასებით, ოპოზიციის უცხოელმა მფარველებმა იციან, რომ არჩევნებში დამარცხდებიან და ერთადერთი საშუალება ისლა დარჩათ, რომ პირდაპირ ჩაერიონ საარჩევნო პროცესში.

პრორუსული ჯგუფები კვლავ იმეორებენ ნარატივებს რევოლუციისა და „მეორე ფრონტის“ შესახებ

- ტელეკომპანია „სუზონის“ წამყვანმა ნიკოლოზ მჟავანაძემ [განაცხადა](#), რომ საქართველო თავისუფლდება „ამერიკული და ლგბტ ოკუპაციისგან.“ იმავე ეთერში, მორიგი პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ დასავლეთი საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნას ისევ ცდილობს, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილი ერთადერთი ძალაა, რომელიც ომს წინ უდგება.**
- პრორუსული „ალტ-ინფოს“ ჯგუფის წევრი [ამბობდა](#), რომ „ქართული ოცნების“ რიტორიკა საკმარისი არაა დასავლეთის „მაიდანის რევოლუციის“ სცენარების თავიდან ასარიდებლად.
- პრორუსულად განწყობილი დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი [ირწმუნებოდა](#), რომ საქართველოს სამი არჩევანი აქვს: „კოლექტიური ნაცმოდრაობა,“ რომელიც ომს დაიწყებს, „ქართული ოცნება,“ რომელიც რევოლუციის მცდელობებს ვერ ჩაახშობს და „ალტ-ინფო,“

რომელიც წარმატებით დაამარცხებს დასავლეთის მიერ დაფინანსებულ აგენტებსა და სახელმწიფოს მტრებს.

- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი წევრის [მტკიცებით](#), აშშ-მა ჯგუფის ლიდერებსა და მაღალი თანამდებობის სამართალდამცავებს სანქციები დაუწესა, რადგან ისინი ერთადერთ ძალას წარმოადგენენ, რომელსაც „მაიდანის რევოლუციის“ სცენარის თავიდან არიდება შეუძლია.
- „ალტ-ინფოს“ გადაცემების ერთ-ერთი წამყვანის [შეფასებით](#), აშშ-ის ხელისუფლება საქართველოს ძირითადი საფრთხეა, რადგან სწორედ ის ცდილობს ქვეყნის ომში ჩათრევასა და მორიგ უკრაინად ქცევას, ხელისუფლებაში რევანშისტული ძალების მოყვანით.
- პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ გენერალურმა მდივანმა [განაცხადა](#), რომ დასავლეთი არა საქართველოს მთავრობის, არამედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოქმედებს, რომელიც ცდილობს, დაიბრუნოს **სუვერენიტეტი** და თავი დააღწიოს **დასავლურ კოლონიალიზმს**.
- ლევან მამალაძე, დეპუტატი 1990-იან წლებში, რომელიც ჟურნალისტებმა ლუგანსკის სეპარატისტულ რეჟიმთან კავშირებში ამხილეს, ტელეკომპანია „სეზონს“ [ესტუმრა](#) და ამტკიცებდა, რომ **დასავლეთი მომავალი არჩევნების შედეგების აღიარებას არ აპირებს, რათა სახელმწიფო გადატრიალება მოხდეს**.
- ნიკოლოზ მკავანაძემ [იმედი გამოთქვა](#), რომ როგორც სირიას, თურქეთს, ყაზახეთსა და ბელარუსს დაეხმარა რუსეთი რევოლუციების თავიდან არიდებაში, ისე დაეხმარება საქართველოსაც და ამით რეგიონში უსაფრთხოებას განამტკიცებს.
- „ალტ-ინფოს“ ეთერში, პროპაგანდისტი [საუბრობდა](#), თუ როგორ მოხდება საქართველოს „ბახმუტიზება“, თუ ხელისუფლებაში პროდასავლური ძალები მოვლენ.
- რუსეთის დაზვერვის ცნობა, რომ საქართველოში რევოლუციის გასაღვივებლად **ეუთო/ოღირი არჩევნების გაყალბებულად გამოცხადებას აპირებს**, „ალტ-ინფოს“ ეთერში კიდევ ერთმა პროპანდისტმა [გაიმეორა](#).
- „ალტ-ინფოს“ ჯგუფის წევრის [თქმით](#), ვინაიდან აშშ აცნობიერებს, რომ საქართველოზე გავლენას კარგავს, ერთადერთ საშუალებად ძალის გამოყენება და ქვეყნის რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩათრევა რჩება, რათა უზრუნველყოს, რომ სამხრეთ კავკასიაში გამავალი სავაჭრო გზები ჩინეთის ხელში არ ჩავარდება. ამასთანავე, საქართველოსთვის მშვიდობის დამყარების ერთადერთი გზა რუსეთთან, თურქეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ახლო ურთიერთობაა.

არჩევნებამდე 36 საათით ადრე, ანტიოპოზიციური ანონიმური TikTok ანგარიშები ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომ ოპოზიციის ამომრჩევლები იდენტიფიცირდებიან და გასამართლდებიან

ანონიმურმა ანგარიშებმა TikTok-ზე, ოპოზიციის ამომრჩეველთა დაშინების ცალსახა მიზნით, სისტემატურად დაიწყეს ოპოზიციის მადისკრედიტირებელი მასალის გავრცელება და კოორდინირებულად გამოაქვეყნეს ვიდეოები არჩევნების თარიღამდე 36 საათით ადრე. ისინი მცდარად ირწმუნებიან, რომ საარჩევნო ტექნოლოგიები ამომრჩეველთა იდენტიფიცირებას შესაძლებელს ხდის, რის შედეგადაც ოფიციალური ორგანოები ოპოზიციის ამომრჩევლებს დააკავებენ.

